ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29250362**
თარიღი:**05/02/2025**

,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქრთველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.292501513 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) პროგრამის მე- 3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავე დროს, მცხოვრები უსახლკარო ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი ან/და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია საცხოვრებელ სახლში დარჩენა და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 - ს.

ბ) პროგრამის მე -4 მუხლის ,,დ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის წერილობითი რეკომენდაცია განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის არქონის ან/და ცხობა დაზიანებული სახლის შესახებ. (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM